შეთანხმება №2

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე არსებული ზოგიერთი ინფორმაციის სსიპ - იუსტიციის სახლისათვის მიწოდების შესახებ 2016 წლის 8 ივნისის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი **14 მარტი 2017 წელი**

ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო **(შემდგომში-სამინისტრო)**, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ზაზა სოფრომაძის** სახით, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო **(შემდგომში - სააგენტო)**, წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის მოადგილის, **თენგიზ აბაზაძის** სახით, სსიპ - იუსტიციის სახლი **(შემდგომში - იუსტიციის სახლი)**, წარმოდგენელი იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის, **გივი აზაურაშვილის** სახით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო **(შემდგომში - სერვისების განვითარების სააგენტო)**, წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, **სოსო გიორგაძის** სახის, შემდგომში ერთობლივად წოდებული, როგორც მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე როგორც-მხარე, იუსტიციის სახლის 2017 წლის 10 მარტის N502 წერილის და 2016 წლის 8 ივნისს დადებული ხელშეკრულების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თანხმდებიან შემდეგზე:

1. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე არსებული ზოგიერთი ინფორმაციის სსიპ - იუსტიციის სახლისათვის მიწოდების შესახებ 2016 წლის 8 ივნისის ხელშეკრულებაში განხორციელდეს ცვლილება და მისი მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით.“.

2. მხარეთა შორის 2016 წლის 8 ივნისს ხელშეკრულების სხვა მუხლები დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე შ ეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

4. შეთანხმება წარმოადგენს 2016 წლის 8 ივნისს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

5. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

მხარეთა რეკვიზიტები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144
საიდენტიფიკაციო ნომერი: 211333957

ზაზა სოფრომაძე
მინისტრის მოადგილე

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202178927

დირექტორის მოადგილე
თენგიზ აბაზაძე

სსიპ - იუსტიციის სახლის
ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204580202

გივი აბაურაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N67
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202307404

სოსო გიორგაძე
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი